

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.	14
9. მოკლევადიანი სესხები	14
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
13. . სხვა შემოსავალი	15
14. კომერციული ხარჯები.	15
15. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
16. ფინანსური შემოსავალი.	16
17. ფინანსური დანახარჯები.	16
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	192,883	389,952
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	777,880	536,794
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	3,668,394	3,890,529
სულ მიმდინარე აქტივები		4,639,157	4,817,274
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	415,163	622,903
არამატერიალური აქტივები		2,272	2,272
სულ გრძელვადიანი აქტივები		417,435	625,175
სულ აქტივები		5,056,592	5,442,449
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	129,050	962,249
სავაჭრო ვალდებულებები	9	82,511	70,125
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		0	-
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	10	54,703	72,142
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		266,264	1,104,515
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	-	124,980
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	124,980
სულ ვალდებულებები		266,264	1,229,495
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		4,788,328	4,210,954
სულ საკუთარი კაპიტალი		4,790,328	4,212,954
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,056,592	5,442,449

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ავთანდილ გელავა

მთ. ბუღალტერი ----- სოსო ქაფიანიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	11	8,168,396
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(5,206,923)
საერთო მოგება		2,961,474
სხვა შემოსავალი	13	66,727
კომერციული დანახარჯები	14	(44,040)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,342,733)
დადებითი საკურსო სხვაობა		91,116
ფინანსური შემოსავალი	16	9,660
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(86,251)
ფინანსური დანახარჯები	17	(78,579)
მოგება დაბეგვრამდე		577,374
მიმდინარე წლის მოგება		577,374

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ავთანდილ გელავა

მთ. ბუღალტერი ----- სოსო ქაფიანიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	2,000	4,210,954	-	4,212,954
საწესდებო კაპიტალის გაზრდა წლის მილიანი სრული შემოსავალი	-	577,374	-	577,374
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	2,000	4,788,328	-	4,790,328

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ავთანდილ გელავა

მთ. ბუღალტერი ----- სოსო ქაფიანიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „მათემოტორსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2005 წლის 04 თებერვალს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204470063, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მარჯვენა სანაპირო N6, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100 წილის მფლობელია გელა ბარკალაია (პ.ნ 39001000283)

კომპანიის დირექტორია ავთანდილ გელავა (პ.ნ 01024014473)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ავტომობილების რეალიზაცია, მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია, მსუბუქი ავტომობილების ტექმომსახურება. კომპანიას აქვს ფილიალები როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. კომპანიას ფილიალები აქვს შემდეგ ქალაქებში:

- თბილისი;
- ქუთაისი;
- ბათუმი;
- ზუგდიდი;
- თელავი;
- ახალციხე;
- რუსთავი;
- ფოთი;
- გორი.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან,

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2018	2017
ნაღდი ფული ლარებში	3,910	8,908
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	182,268	368,889
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	6,705	12,155
სულ	192,883	389,952

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	433,116	364,288
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	50
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	209,926	76,829
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	522	805
წინასწარ გადახდილი გადასახადი	32,881	3,905
სხვა მიმდინარე აქტივები	3,332	3,203
პრეტენზიები დებიტორებთან	98,103	87,713
სულ	777,880	536,794

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2018	2017
საქონელი	3,654,309	3,876,646
ნედლეული	12,928	12,712
საწვავ-საცხები მასალები	1,157	1,170
სულ	3,668,394	3,890,529

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერულ ი ტექნიკა და ელექტრო მოწყობილობებ ი	ავეჯი და ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ავტოტრანსპორტ ი	იჯარით აღებული ქონების კეტილიზაციონა	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	602,617	80,971	229,814	280,108	405,859	122,523	143,535	180,037	2,045,465
შემოსვლა	8,522	210	846	3,502	-	-	2,187	28,990	44,256
გასვლა	(33,346)	-	-	-	(92,712)	-	-	(2,002)	(128,059)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	577,793	81,181	230,659	283,610	313,148	122,523	145,722	207,025	1,961,662
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	(399,406)	(61,278)	(155,004)	(179,750)	(360,477)	(73,085)	(73,362)	(120,200)	(1,422,562)
ცვეთის ხარჯი	(66,151)	(7,511)	(27,970)	(33,903)	(21,105)	(14,470)	(29,002)	(39,699)	(239,811)
გასული ძირითადი საშუალებების დ	26,531	-	-	-	87,530	-	-	1,813	115,874
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	(439,025)	(68,788)	(182,975)	(213,653)	(294,052)	(87,555)	(102,364)	(158,086)	(1,546,499)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	203,212	19,694	74,809	100,358	45,382	49,438	70,173	59,837	622,903
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	138,768	12,393	47,685	69,956	19,096	34,968	43,358	48,939	415,163

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2018	2017
მიწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებ	76,337	65,233
მიღებული ავანსები	6,174	4,892
სულ	82,511	70,125

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

9. მოკლევადიანი სესხები

2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
					31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
სს პროკრედიტ ბანკი		დოლარი	30.01.2017	08.05.2019	129,050	-	250,814	124,980
სს პროკრედიტ ბანკი		დოლარი	30.09.2016	30.10.2018	-	-	711,435	-
სულ					129,050	-	962,249	124,980

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2018
ავტომობილების რეალიზაცია	101,740
საქონლის რეალიზაცია	1,056,783
ავტოტექმომსახურება	7,009,874
სულ	8,168,396

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2018 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება:

	2018
ავტოტექნომსახურებაზე დარიცხულ	991,757
შემძენილი ავტოტექნომსახურება	365,670
სათადარიგო ნაწილების ღირებულება	3,849,496
სულ	5,206,923

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დათვლილი საშუალო შეწონილი ფასთა მეთოდით.

13. სხვა შემოსავალი

კომპანიის 2018 წლის სხვა შემოსავალი შედგება:

	2018
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	17,536
ძირითადი საშეუალებებიდან მიღებული	49,191
სულ	66,727

14. კომერციული ხარჯები

კომპანიის 2018 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2018
რეკლამის ხარჯები	13,121
ქონების შეფასების ღირებულება	9,600
ტენდერში მონაწილეობის საკომისიო	9,057
მიწოდების სხვა ხარჯები	12,263
სულ	44,040

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

15. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2018 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	921,158
საიჯარო ქირა	708,188
ელექტროენერგიის ხარჯები	46,113
გაზი და წყალი	23,534
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	13,873
საკანცელარიო ხარჯები	5,553
კომპიუტერის ხარჯები	1,512
სამეურნეო ხარჯები	18,586
კომუნიკაციის ხარჯები	23,322
დაზღვევის ხარჯები	32,090
ტრანსპორტირებისა და საფოსტო ხარჯები	112,856
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	63,263
პროგრამული უზრუნველყოფის მიმდინარე ხარჯები	15,957
საერთო დანიშნულების ძირით. საშუალებების ცვეთა	239,811
საგადასახადო ხარჯები	6,151
არჩათვლილი დღგ-ის ხარჯი	2,212
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	65,842
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	7,328
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	13,608
წარმომადგენლობითი ხარჯები	6,758
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	15,018
სულ	2,342,733

16. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2018
მიღებული ჯარიმები და პირგასამტეხლო	(4,772)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(4,888)
სულ	(9,660)

17. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	49,040
საგადასახადო საურავები	500
დებიტორების მირ დარიცხული ჯარიმები	19,022
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10,018
სულ	78,579

შპს მათემატორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	-	(1,511)
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	-	-
სულ	-	(1,511)

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(24,000)	(1,600)
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(570,500)	104,400
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	11,246	50,381
სულ	(583,254)	153,181

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.